86 წელი თქვენთან ერთად!

86 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 87-ე წელი.

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №6 {7011} 16 მარტი 2020 წელი • www. Terjola. gov. ge

კორონავირუსი—გლობალური საფრთხე და ლოკალური პასუხისმგებლობა

მალე სამი თვე გასრულდება, რაც პლანეტაზე გაჟღერდა ფაქტები ახალი კორონავირუსით ინფიცირების შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ახალი ვირუსი უკვე დაფიქსირებულია მსოფლიოს 145 ქვეყანაში. დაინფიცირებულთა რაოდენობა განსაკუთრებით დიდია ამ ვირუსის „სამშობლოში“—ჩინეთში. იქ გარდაცვლილებმა სამი ათასს გადააჭარბა. თუმც, უნდა აღინიშნოს, რომ ჩინელი მედიკოსების და ქვეყნის ხელისუფლების დიდმა ძალისხმევამ, ასევე თითოეული ჩინელის მაღალპასუხისმგებლურმა დამოკიდებულებამ პრევენციულ თუ საკარანტინო ზომებზე, უკვე გამოიღო შედეგები. ჩინეთში თანდათან მცირდება დაინფიცირებულთა ზრდის ტენდეცია, ასევე უმჯობესდება გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა, იკლებს ლეტალობის შემთხვევები. ქვეყანაში ეტაპობრივად რბილდება საკარანტინო წესები.

სამწუხაროდ, ასე ვერ ვიტყვით ისეთი ქვეყნების მაგალითზე, როგორიცაა სამხრეთ კორეა, ირანი და იტალია. საგულისხმოა, რომ იტალიაში, სადაც დიდი რაოდენობით ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს, საყოველთაო კარანტინია ანუ ქვეყანა ინფექციურ წითელ ზონაშია. იტალიაში გარდაცვლილთა რაოდენობამ კი (3600 ადამიანი) უკვე გადააჭარბა ანალოგიურ ჩინურ მაჩვენებელს!

ვიდრე ჩვენი გაზეთის ბეჭდვა დაიწყებოდა, ანუ 16 მარტისათვის, კორონავირუსის გავრცელების გამო საგანგებო ზომები ამ ქვეყნებთან ერთად უკვე გამოცხადდა ისეთ განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში, როგორიცაა ესპანეთი, საფრანგეთი, ავსტრია, გერმანია და ა.შ. რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპა ეპიდემიის ეპიცენტრია... ამ ქვეყნებში ფაქტიურად ყველაფერი დახურულია...

უკვე ვწერდით და კვლავ აღვნიშნავთ, რომ ვირუსი საქართველოშიც შემოვიდა. სამწუხაროდ, დღეისათვის უკვე 33 შემთხვევაა დაფიქსირებული. მივანიშნებთ, რომ ჩვენს გვერდით მეზობელთან—თურქეთში, რომელიც 80 მლნ. მოსახლეს ითვლის და პირდაპირი საზღვარი აქვს ერთ-ერთ ყველაზე ეპიდემიურ ქვეყანასთან—ირანთან, დაინფიცირების პირველი შემთხვევა მხოლოდ 11 მარტს დაფიქსირდა.

ამჟამად არ ვისაუბრებთ იმ მიზეზებზე, თუ რამ გამოიწვია ვირუსის ასე სწრაფი გავრცელება, თუმც ცხადია, რომ ამ ვირუსის გამოჩენას საკმარისად მოუმზადებელი ვერ შეხვდით და რომ არა შემდგომში მიღებული საგანგებო ზომები, მდგომარეობა უფრო მძიმე იქნებოდა.

უსამართლობა იქნება არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მედიკოსები ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მეტი ორგანიზებულობის და პროფესიონალიზმის მაგალითებს აჩვენებენ. სამაგალითოდ ხაზგასასმელია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის თანამშრომლების, პირადად მისი ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის, ასევე ლუგარის ლაბორატორიის საქმიანობა. უფრო გაბედული გადაწყვეტილებების მიღება დაიწყო უწყებათაშორისო საკორდინაციო საბჭომ. სწორედ ამ საბჭოს, რომელსაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, გადაწყვეტილებით ჩაიკეტა საქართველომ საზღვრები ჩვენს სამხრეთ მეზობლებთან, 15 მარტს კი უკვე რუსეთთან. შეჩერებულია ავიარეისები მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებთან და სხვა.

მსოფლიოში დარგის სპეციალისტები და ექსპერტები ბევრს მსჯელობენ ამ თემებზე. მეცნიერები დღედაღამ მუშაობენ ვირუსის ანტიდოტის შექმნაზე. გაჩნდა იმედებიც. საინფორმაციო საშუალებებით ამ დღეებში გავრცელდა ცნობა, რომ მალე გვექნება ვირუსის დასადგენად საჭირო ტესტები და მისი გამოყენება თავადვე შეგვეძლება.

კორონავირუსთან კავშირში ყოველდღიურად სხვა ბევრ არასასიამოვნო ახალ ამბებს, ფაქტებსა და პროგნოზებსაც ვგებულობთ.

გაუქმებული და გადადებული მასობრივი ღონისძიებები, დაკეტილი მუზეუმები, საგამოფენო და საკონცერტო დარბაზები, საბავშვო ☞2

დღის წესრიგით - კორონავირუსი და მისი პრევენცია...

ეს თემა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში ჯერ კიდევ 2 კვირის წინ, 2 მარტს, ჩვენი გაზეთის მორიგი ნომრის გამოსვლის დღეს გამართულ თათბირზე იყო განსაკუთრებული განხილვის საგანი.

ამ თათბირს მუნიციპალიტეტის მერი ბონდო სოფრომაძე უძღვებოდა. თათბირს მერის მოადგილეები მანუჩარ ფანჩულიძე და მერაბ სირაძე, მერიის სამსახურებისა და განყოფილებების უფროსები, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები, ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. მუნიციპალიტეტის მერმა, ბონდო სოფრომაძემ საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება კორონავირუსის პრევენციის მიზნით განსახორციელებელ იმ ღონისძიებებზე, რომელებიც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად მუნიციპალიტეტის მასშტაბით უნდა ჩატარდეს და მოიცავს სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების, სახელოვნებო სკოლებისა და ☞2

მსჯელობენ საკრებულოს კომისიის სხდომაზე...

11 მარტს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ გამართა შეხვედრა, სადაც COVID-19-თან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში არსებული ვითარება და პრევენციული ზომები განიხილეს. ☞2

კვლავ ქალაქ თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობის პროექტებზე

☞8

კორონავირუსი—გლობალური საფრთხე და ლოკალური პასუხისმგებლობა

1☜

ბაღები, სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები, დაწესებული კარანტინები, გადადებული ავიარეისები, გაუქმებული ტურისტული საგზურები, ყველა სახის სპორტული ღონისძიებები, დროებით დახურული საწარმოები თუ სხვადასხვა მნიშვნელოვანი კომპანიების ოფისები, საბოლოო ჯამში კი ხალხისგან დაცარიელებული ქუჩები—ასეთი სამწუხარო და უჩვეულო სურათია დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ბუნებრივია, რომ აუცილებელმა აკრძალვებმა სერიოზულად დაარტყა ეკონომიკას. ბევრ ქვეყანაში უკვე გაჩნდა არამარტო სამედიცინო საშუალებების დეფიციტი. ექსპერტების გათვლით მსოფლიო ეკონომიკამ უკვე დაკარგა 3 ტრილიონი დოლარი. ზარალს განიცდის ჩვენი ქვეყნის ისედაც არა ინტენსიურად მზარდი ეკონომიკა. სავარაუდოდ, ჩვენ ყველაზე დიდ დარტყმას ტურიზმის მიმართულებით მივიღებთ, სადაც უკვე ითვლიან მყისიერად დამდგარ პირველ მძიმე შედეგებს.

რა მდგომარეობაა დღეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში. რა კონკრეტული ღონისძიებები ტარდება კორონავირუსის გავრცელების მიზნით. რომელი მუნიციპალური სტრუქტურები არიან პასუხისმგებლები საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადებების შემთხვევაზე ოპერატიული რეაგირების თაობაზე, მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულების შესრულებაზე?

სავსებით ლოგიკურია, რომ ეს კითხვები დღეს განსაკუთრებით აინტერესებს ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ სწორედ ამ თემებზე პასუხისმგებელ ადამიანებს მოეთხროთ თქვენთვის თუ რას და როგორ აკეთებენ, ან მომავალში რას აპირებენ ისინი ამ გლობალური საფრთხის პრევენციისათვის!

უპირველესად აღვნიშნავთ, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში, მერის ბონდო სოფრომაძის საგანგებო ბრძანებით შექმნილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კორონავირუსის გავრცელების პრევენციაზე მუშაობის საგანგებო სამუშაო ჯგუფი, რომელსაც მერის პირველი მოადგილე მანუჩარ ფანჩულიძე ხელმძღვანელობს. ამ დღეებში ჯგუფის სხდომაზე უკვე მოისმინეს შპს „პროფდეზინფექციის“ და მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელმძღვანელის (მ. ნიშნიანიძე, თ. არჯევანიძე) ინფორმაციები თერჯოლაში გატარებული და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. განსაკუთრებით დაწვრილებით გაანალიზდა თუ როგორ მიდის საზოგადოებრივი ტრანსპორტის, სკოლების, საბავშვო ბაღების, სხვა საბიუჯეტო თუ კერძო დაწესებულებების დეზინფექცია. როგორ იხარჯება ამ მიზნით მერიის მიერ შეძენილი სადეზინფექციო ხსნარი „ანოლიტი ანკ სუპერი“ (2 ტონა).

მაგრამ, ყველა მცდელობა სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს თუ მთელი სისრულით არ გავითავისებთ, რომ უპირველესი პასუხისმგებლობა, კაცობრიობის ამ მტერი ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში, სახელმწიფოსა და მედიკოსებთან ერთად გვეკისრება ჩვენ, რიგით მოქალაქეებს, ჩვენს მაღალმოქალაქეობრივ შეგნებას, რომ ზუსტად ვასრულებდეთ ვირუსის გავრცელების პრევენციისათვის, საკარანტინო თუ სხვა შეზღუდვებით დადგენილ წესებს!

უფალმა ინებოს, რომ კორონავირუსმა ჩვენ სამუდამოდ კი არ დაგვაშოროს ერთმანეთს, არამედ გაგვაერთიანოს!

საბედნიეროდ, ჩვენ უფრო ხშირად გვესმის იმის თაობაზე, თუ როგორი თანადგომით გამოირჩევიან ადამიანები ერთმანეთისადმი. იმედია კორონავირუსთან ბრძოლიდან ჩვენ გამარჯვებულები და გაერთიანებულნიც ერთად გამოვალთ!

დ. კლდიაშვილი

დღის წესრიგით კორონავირუსი და მისი პრევენცია...

1☜

საზოგადოებრივი ტრანსპორტის დეზინფექციას. მან ასევე აღნიშნა, რომ სამთავრობო უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, თერჯოლაში გაუქმდა 3-8 მარტის კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი ხალხმრავალი ღონისძიებები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

თათბირზე შესაბამისი დავალებები მიეცათ მერიის ქვემდებარე სტრუქტურებს—სამსახურებს, განყოფილებებს, ა(ა)იპებსა და შპს-ებს. თათბირზე, გაკეთდა საგანგებო განცხადება:

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

თუ უკვე იმოგზაურეთ კორონავირუსის გავრცელების რისკის მქონე ქვეყნებში (ჩინეთი, ირანი, იტალია, სამხრეთ კორეა ან სხვა) უკანასკნელი 2 კვირის განმავლობაში, საჭიროა იმყოფებოდეთ იზოლაციაში და დაიცვათ შემდეგი წესები: სისტემატურად გაიკონტროლეთ ტემპერატურა, მოერიდეთ სხვა ადამიანებთან კონტაქტს, კონტაქტის დროს აუცილებლად გამოიყენეთ პირბადე, ხშირად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით მინიმუმ 20 წამის განმავლობაში, ხოლო მათი არქონის შემთხვევაში გამოიყენეთ ალკოჰოლის შემცველი სადეზინფექციო საშუალება.

საეჭვო სიმპტომების შენიშვნის შემთხვევაში: (ტემპერატურა 38 და ზევით, სუნთქვის გაძნელება, ხველა, ყელისა და თავის ტკივილი) დარჩით ბინაზე იზოლაციაში და დაუყოვნებლივ გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო სამსახური 112 და აცნობეთ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების ოჯახის ექიმებს თქვენი მოგზაურობის შესახებ, ასევე დაუყოვნებლივ დაუკავშირდით თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრის დირექტორს თამარ არჯევანიძეს

ტელ: 599 94 82 55.

მსჯელობენ საკრებულოს კომისიის სხდომაზე...

1☜

კომისიის სხდომას, რომელსაც კომისიის ხელმძღვანელი ბადრი ბუცხრიკიძე უძღვებოდა, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე და მერისს სხვადასხვა ა(ა)იპ-ის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

არსებული მდგომარეობის შესახებ ისაუბრეს თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელმა თამარ არჯევანიძემ და „თერჯოლის პროფდეზინფექციის“ ხელმძღვანელმა მარიამ ნიშნიანიძემ.

ამჟამინდელი მონაცემებით, სადეზინფექციო ხსნარებით დამუშავდა მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაგა-ბაღი და საჯარო სკოლა, ბიბლიოთეკები, მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრი, სპორტდარბაზი. ყოველდღიურად ხდება მუნიციპალური ტრანსპორტის დამუშავება, ასევე მუშავდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები და ადმინისტრაციული შენობები. ამასთან, იგეგმება სხვადასხვა დაწესებულებებისა, მათ შორის ეკლესიების დეზინფექცია და ლოკაციების დამუშავება. არსებობს შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებების სრული მარაგი და მუშაობა მიმდინარეობს კოორდინირებულად.

რეკომენდაციები, განცხადებები...

გადავადდა...

ახლახანს, საქართველოში კორონავირუსის გავრცელების საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში, მოქმედმა უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭოს მორიგმა სხდომამ ახალი გადაწყვეტილებები მიიღო:

საქართველოს მასშტაბით სასწავლო დაწესებულებებში გამოცხადებული არდადეგები ამ ეტაპზე პირველ აპრილამდე გახანგრძლივდა.

ასევე, პირველ აპრილამდე იქნება შეწყვეტილი სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის მომსახურების მიწოდება დღის ცენტრებში. საჭირო ღონისძიებებს, დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს. აღნიშნულ პერიოდში ანაზღაურების საკითხი კი, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის გათვალისწინებით გადაწყდება. ასევე, სავალდებულო სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევა ერთი თვით, 13 აპრილამდე გადავადდა.

საბჭოს სხდომაზე საქართველოს მთავრობის მეთაურმა მოისმინა ინფორმაცია საქართველოში კორონავირუსით ინფიცირებული პაციენტების ჯანმრთელობისა და მსოფლიოში არსებული ზოგადი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესახებ.

ამასთან, უწყებათაშორისი საბჭოს სხდომაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მოქალაქეების მხრიდან მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გამოვლენისა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მნიშვნელობას ვირუსის მასობრივი გავრცელების პრევენციის საქმეში.

ქორწილები, ქელეხები...

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე მოსახლეობას აფრთხილებს რომ შეზღუდვები გაიზრდება. **პაატა იმნაძის** თქმით, შესაძლოა მთავრობას მოუწიოს დიდი



თავშეყრის ადგილების, მათ შორის ქორწილებისა და ქელეხების აკრძალვაც:

„მოსახლეობა უნდა მოემზადოს, რომ შეზღუდვები რაღაც ეტაპზე მეტი გახდება. ეს იყო ჩვენი რეკომენდაცია მთავრობისათვის, რომ რაღაც ეტაპზე მეტი შეზღუდვა საჭირო გახდება. მაგალითად, ეს არის პირველ რიგში ასკაციანი ქორწილები, ქელეხები... ეს არის შეზღუდვა ცხოვრების ჩვეულებრივი წესის. მაგრამ დადგება მომენტი, როცა ეს გასაკეთებელი შეიძლება, გახდეს. ამიტომ ამისთვის წინასწარ უნდა ვიყოთ შემზადებული, რომ დიდი თავყრილობები შეიძლება მთავრობამ აკრძალოს. ყველაფერი სიტუაციაზე იქნება დამოკიდებული. ჩვენ არ გვინდა მივიდეთ ისეთ სიტუაციამდე როგორზეც ზოგიერთი ევროპული ქვეყანა მივიდა და მერე გამოაცხადეს ასეთი ღონისძიებები.“

პრობაციონერები...

„დღეიდან (12 მარტი), 14 აპრილის ჩათვლით, ყველანი ხართ გათავისუფლებული პრობაციის ბიუროებში გამოცხადებისგან. ეს ნიშნავს იმას, რომ ე.წ თითის დადება ან პრობაციის ოფიცერთან, სოცმუშაკთან ან ფსიქოლოგთან ჩანიშნული სავალდებულო შეხვედრები არის გაუქმებული. თქვენი მოსვლის ვალდებულების შეუსრულებლობა დღეიდან 14 აპრილის ჩათვლით ჩაითვლება საპატიოდ და არავითარი სამართლებრივი შედეგი ამ გამოუცხადებლობას არ მოჰყვება” – ეს განაცხადას იუსტიციის მინისტრმა **თეა წულუკიანმა.**

დისტანციური მუშაობა

კორონავირუსის საფრთხეებიდან გამომდინარე 12 მარტს, მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ყველა საჯარო და კერძო სტრუქტურას დისტანციურ მუშაობაზე გადასვლის რეკომენდაციით მიმართა.

პასუხისმგებლობა ყველას გვეკისრება!!!

პანდემიის გამოცხადებას ჩვენ ველოდით

„მსოფლიოში ახალი ტიპის კორონავირუსის გავრცელებას შეიძლება პანდემია ეწოდოს“. ასეთი განცხადებით გამოვიდა 11 მარტს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი ტედროს ადჰანომ ღებრეიუსი.

„პანდემიის გამოცხადება სიახლე არ იყო, ამას ველოდებოდით. დაახლოებით ორი კვირის წინ მათ (ჯანგო) პანდემიური მზადყოფნა გამოაცხადეს“,—უთხრა ჟურნალისტებს საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ, მას შემდეგ, რაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმო) ახალი ტიპის კორონავირუსის (COVID – 19) გავრცელება პანდემიად გამოაცხადა.

როგორც გამყრელიძე აცხადებს, ჯანმო-ს ქვეყნებისთვის პანდემიისთვის მზადების დაწყების შესახებ რეკომენდაცია ჰქონდა მიცემული.

ამირან გამყრელიძის თქმით, პანდემიის გამოცხადება ნიშნავს უფრო მეტ სიფხიზლესა და მზადყოფნას.

„დარწმუნებული ვარ, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო) ხვალ გამოაქვეყნებს რეკომენდაციებს პანდემიასთან დაკავშირებით. ანუ, რა ტიპის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს. დარწმუნებული ვარ, იქ არ იქნება ისეთი განსაკუთრებული, რაც ქვეყნებში არ ხორციელდება, მაგრამ ალბათ მაინც იქნება გარკვეული სიახლეები. თითოეულ ქვეყანას აქვს თავისი პანდემიური მზადყოფნის გეგმები, მოსახლეობის დაზიანების მაჩვენებლის მიხედვით. ქვეყანა აწარმოებს სამუშაოებს ამ გეგმით“, - განმარტავს გამყრელიძე. მისი თქმით, იმის გამო, რომ საქართველოში ბოლო სამი კვირის განმავლობაში სერიოზული განგაშია, სხვადასხვა უწყება ბევრ ღონისძიებას ატარებს.

11 მარტის მდგომარეობით საქართველოში კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა 24-ს შეადგენდა.

დაუყონებლივ გვაცნობეთ!

საქართველოს მთავრობის განკარგულების (№164. 2020 წლის 28 იანვარი—საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების (№01-73/ო 04 მარტი 2020 წ.—„ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ) საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტში ხორციელდება შემდეგი პრევენციული ღონისძიებები:

—საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრი, გამშვები პუნქტებიდან თვითიზოლაციაში გაშვებულ მოქალაქეებზე (18 მოქალაქე) აწარმოებს ყოველდღიურ მონიტორინგს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რაც გულისხმობს, რომ თვითიზოლაციაში მყოფ პირს საზ. ჯანდაცვის სამსახურის უფლებამოსილი პირი დღე-ღამის განმავლობაში 2-ჯერ ადგენს ინფორმაციას პირის ჯანმრთელობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში აწარმოებს მონიტორინგს საპატრულო პოლიციასთან ერთად. თვითიზოლიაციაში მყოფს სისტემატურად მიეწოდება ინფორმაცია იზოლაციის აუცილებლობის და წესების დაცვის შესახებ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში სადეზინფექციო სამუშაოები დაიწყო 3 მარტიდან. ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად, სადეზინფექციო სამუშაოები ტარდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, საჯარო სკოლებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში. აღნიშნულ სამუშაოებს ყოველდღიურად აწარმოებს შპს „პროფ.დეზინფექცია“ შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად. დეზინფექცია ამ ეტაპზე უკვე ჩაუტარდა ყველა საჯარო სკოლას და საბავშვო ბაღს, 23 ერთეულ სატრანსპორტო საშუალებას და მთელ რიგ საბიუჯეტო ორგანიზაციებს (მუსიკალური სკოლა, სპორტული სკოლა, სამხატვრო სკოლა, ბიბლიოთეკები, მუნიციპალიტეტის საკრებულო). დამუშავდა 26 საბავშვო ბაგა-ბაღი. ტრანსპორტის დეზინფექციისათვის გამოყოფილია 2 ლოკაცია—თერჯოლა და ალისუბანი.

საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში პირთა გადაყვანას უზრუნველყოფს სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი.

ამბულატორიული დაწესებულებები უზრუნველყოფენ სეზონური ვირუსული და სხვა ინფექციების იდენტიფიცირებას და სწორ მართვას რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით.

ჩვენ კიდევ ერთხელ მივმართავთ მოსახლეობას, რომ მკაცრად დაიცვან ჩვენი რეკომენდაციები.

ყველამ გავითავისოთ ჩვენი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, რათა თავიდან ავიცილოთ ინფექციის გავრცელების საშიშროება!

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრი

მოსახლეობის საყურადღებოდ!

საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციის და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის განკარგულების (№529) საფუძველზე, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებისა და გლობალური სიტუაციის გათვალისწინებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია ნაწილობრივ დისტანციური მართვის რეჟიმზე გადადის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა ბონდო სოფრომაძემ საგანგებო თათბირი გამართა მერიისა და ა(ა)იპების ხელმძღვანელ პირებთან, სადაც განიხილეს კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მუნიციპალიტეტში გასატარებელი ღონისძიებები და მიღებული იქნა გადაწყვეტილება მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით. კერძოდ, ის თანამშრომლები, რომელთა საქმიანობაც განსაკუთრებულად არ საჭიროებს სამუშაო ადგილზე ყოფნას, საკუთარი სახლიდან, დისტანციურად შეასრულებენ სამუშაოს. აღნიშნულთან დაკავშირებით მოსახლეობას განცხადებით მიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ბონდო სოფრომაძემ.

„მივმართავთ მოსახლეობას, გადაუდებელი აუცილებლობის გარდა, თავი შეიკავონ საჯარო დაწესებულებებსა და სხვა სტრუქტურულ ორგანოებში ვიზიტისაგან.

გამოიყენეთ კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებები. შეგიძლიათ ნებისმიერი წერილი, კითხვა, დოკუმენტაცია გადმოაგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე terjolismeria@yahoo.clm, terjola.municipality@gmail.com ან მოგვწეროთ მერიის ფეისბუქ გვერდზე. განცხადებების მიღება, აგრეთვე შესაძლებელია მოქალაქეების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან.

თერჯოლის მერიაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სადეზინფექციო სამუშაოები, ასევე კონტროლდება რისკის შემცველი ქვეყნებიდან (ჩინეთი, ირანი, იტალია, სამხრეთ კორეა, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია) ჩამოსული მოქალაქეების მდგომარეობა. მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ მოქალაქეობრივი თვითშეგნება და დაიცვათ ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციები“.

სხდომები, თათბირები, შეხვედრები...

ჩვენი გაზეთის წინა ნომრის გამოსვლის შემდეგ, ვიდრე კორონავირუსთან დაკავშირებით ქვეყანაში განსაკუთრებული ღონისძიებები გამოცხადდებოდა (მასობრივი შეკრებების აკრძალვა და ა.შ.) თერჯოლის მუნიციპალიტეტში მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე გაიმართა მუნიციპლიტეტის საკრებულოს ორი და მერის მრჩეველთა საბჭოს ერთი სხდომა, ასევე სხვა სამუშაო შეხვედრები და ღონისძიებები, რომელთაგან ამჯერად მხოლოდ რამდენიმე მათგანზე მოგითხრობთ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარის, ნინო ჯანელიძის ხელმძღვანელობით რიგგარეშე სხდომა გაიმართა.

სხდომაზე მხარი დაუჭირეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის N2 დადგენილებაში, ასევე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულებაში შესატან ცვლილებებს.

გარდა ამისა მხარდაჭერილია „მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N14 დადგენილებაში შესატანი ცვლილებები.

დეპუტატებმა ასევე მხარი დაუჭირეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელ საპროექტო წინადადებებს.

სხდომას მუნიციპალიტეტის მერი ბონდო სოფრომაძე შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადადის!

გაცნობებთ, რომ მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო დროებით, ნაწილობრივ გადადის მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე!

მოქალაქეებს ვთხოვთ, ისარგებლონ კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით. ნებისმიერი წერილი, თანდართული დოკუმენტებით, შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ საკრებულოს ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე: terjolissakrebulo@gmail.com ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 555 25 94 10 ან 598 77 15 95.

თქვენი ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატების / საკრებულოს წევრების საკონტაქტო ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მითითებულ ბმულზე: http: / / terjola.gov.ge / ge / cevrebi

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგ სხდომაზე...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი ბონდო სოფრომაძე საბჭოს წევრებს 2020 წელს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების შესახებ ესაუბრა, რის შემდეგაც მოისმინეს მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ნუგზარ ფანჩულიძის მოხსენება-ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. ნუგზარ ფანჩულიძემ საბჭოს წევრებს გააცნო სამსახურის საკანონმდებლო ბაზა, სამსახურის მიერ ნაწარმოები საქმეები, რაც ძირითადად ეხება მუნიციპალური და სახელმწიფო ქონების განკარგვას, არასაცხოვრებელი ფართის ქირავნობას, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის ლიცენზიის გაცემას, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე პასუხს, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კატეგორიის შეცვლას, სხვადასხვა სახის სამეზობლო დავის გადაწყვეტას და სხვ. სამსახურის მიერ მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი დოკუმენტის მომზადებასა და საინვესტიციო ობიექტების აღწერასა და ელექტრონულ რუკაზე განთავსებასთან დაკავშირებით. სამსახურის უფროსმა ასევე წარმოადგინა სტატისტიკა-სამსახურის მონაწილეობით ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსული თანხების რაოდენობის შესახებ წლების მიხედვით, რაც ადასტურებს ქონების განკარგვით მიღებული შემოსავლის ზრდადობას. აღსანიშნავია, რომ შექმნილია მუნიციპალური ქონების ბაზა და ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია მათი მდებარეობის, ფაქტობრივი მდგომარეობისა და განკარგვის შესახებ. ასევე დაისვა პრობლემები, რომელთა გადაჭრა აუცილებელია სამსახურის წარმატებული საქმიანობისათვის.

ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა აქტიური კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. ნუგზარ ფანჩულიძემ საბჭოს წევრების ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გასცა. კითხვებს უპასუხა, აგრეთვე მერის მოადგილე მერაბ სირაძემ, რომლის საკურატორო სფეროსაც განეკუთვნება აღნიშნული სამსახური.

მრჩეველთა საბჭომ თერჯოლის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მუშაობა დადებითად შეაფასა და დააფიქსირა რეკომენდაციები სამსახურის მუშაობის ეფექტურობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

ჩვენს საბავშვო ბაღებსა და სკოლებში...

სკოლების დასუფთავების სანიტარული წესები

ბუნებრივია, რომ კორონავირუსის ეპიდემიის გამო განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ახალგაზრდებში ამ დაავადების გავრცელების აღსაკვეთად. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები. ამასთან, სკოლებისათვის შემუშავებულია დასუფთავების სანიტარული წესები, როგორც ყოველდღიური, ასევე ყოველკვირეული და გენერალური. დადგენილია დასალაგებელი ინვენტარისა და საშუალებების სანიტარული ჩამონათვალი დამლაგებლისათვის.

წესებს აქვე გთავაზობთ.

სკოლის ყოველდღიური კომპლექსური დასუფთავება უნდა მოიცავდეს შემდეგ საქმიანობას:

1. მტვრის გადაწმენდა მაგიდების, ტუმბოების, თაროების, კარადების, ფანჯრის რაფების და სხვა, არაუმეტეს 2მ-ის სიმაღლეზე არსებული ზედაპირებიდან. სარკეებისა და შუშის ზედაპირების წმენდა (გარდა ფანჯრებისა).

2. კარის ბლოკების, კიბის უჯრედებისა და ბაქნების დასუფთავება. კარის სახელურების, ჩამრთველების, კიბის მოაჯირების და ყველა სხვა იმ ზედაპირის წმენდა, რასაც ხშირად ეხებიან ხელით;
3. მტვრის მოცილება ჩამრთველებიდან, დამაგრძელებლებიდან, ორგტექნიკიდან, კომპიუტერებიდან;
4. ნარჩენების მოცილება სანაგვე ურნებიდან და კალათებიდან, პოლიეთილენის პაკეტების შეცვლა სანაგვეებში.
5. მტვრის გადაწმენდა სკამებიდან და სხვა ავეჯიდან.
6. მყარი, ნახევრადმყარი და რბილი იატაკების დასუფთავება (ვაკუუმდამუშავება, გამოგვა, რეცხვა).
7. მტვრის მოცილება პლინტუსებიდან, ლაქებისა და წებოვანი სუბსტანციების (საღეჭი რეზინი, პლასტელინი და სხვ.) მოცილება იატაკიდან, რბილი საფარიდან, ავეჯიდან.
8. კერამიკული ფილებით მოპირკეთებული კედლების (არაუმეტეს 1მ სიმაღლეზე), უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების წმენდა და დეზინფიცირება (ჟანგის, შარდის და წყლის მინერალური ქვის ნადების მოცილების ჩათვლით), დეზოდორაცია.
9. შენობის გარეთა ფასადსა და მიმდებარე ტერიტორიაზე: კარის ბლოკისა და კიბეების წმენდა, დაგვა-დასუფთავება, ნაგვის გატანა და ურნებში პოლიეთილენის პაკეტების ჩაფენა, მისასვლელი ბილიკების სველი წესით დამუშავება.
10. დასალაგებელი ინვენტარის რეცხვა და მომზადება შემდგომი სამუშაო დღისათვის.

ყოველკვირეული კომპლექსური დასუფთავება სკოლაში უნდა მოიცავდეს შემდეგ სამუშაოებს:

1. იგივე, რაც 27-ეპუნქტით არის გათვალისწინებული;
2. ყველა ზედაპირის დასუფთავება არაუმეტეს 3მ სიმაღლეზე;
3. ავეჯისა და ფერადი ლითონისაგან დამზადებული ინტერიერის ელემენტების გაპრიალება;
4. მტვრის მოცილება ჩარჩოებიდან (შუშის გარდა), ლაქების მოცილება ტიხრებიდან, ვაკუუმით დამუშავება ქსოვილის ზედაპირების და რბილი ავეჯის;
5. მტვრის მოცილება დეკორატიული ეკრანებიდან, დეკორატიული გაფორმების სხვა ელემენტებიდან;
6. სანაგვე ურნებისა და კალათების რეცხვა და დეზინფიცირება;
7. სათავსების დეზინფექცია არაუმეტეს 3მ სიმაღლეზე, ჩამრეცხი ღრუების დეზინფექცია და დეზოდორაცია;
8. კერამიკული ფილებითა და ხით მოპირკეთებული კედლების პოლირება;
9. შენობის გარეთა ფასადსა და მიმდებარე ტერიტორიაზე:

ა) იგივე რაც პუნქტი 27-ე პუნქტის მე-9 ქვეპუნქტით არის გათვალისწინებული;

ბ) შუშის ზედაპირების, აბრების და ფირნიშების, მისასვლელი ბილიკების და გარეთ დამონტაჟებული მოსაცდელი სკამების წმენდა.

სკოლის გენერალური დასუფთავებისას შემდეგი საქმიანობა უნდა განხორციელდეს:

1. იგივე რაც 27-ე პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტით არის გათვალისწინებული;
2. კედლის და ჭერის გამანათებელი საშუალებების შუშების წმენდა შიგნიდან და გარედან, არაუმეტეს 3მ სიმაღლეზე;
3. კედლებსა და ჭერზე განთავსებული შემწოვ-გამწოვი სავენტილაციო სისტემის ცხაურებიდან მტვრის მოცილება;
4. კომპიუტერების, ორგტექნიკის, საყოფაცხოვრებო ელექტროაპარატურის, ჟალუზების, რბილი ავეჯის, ხალიჩებისა და რბილი საფარის წმენდა;
5. ფანჯრების წმენდა შიგნიდან და გარედან;
6. იატაკებზე მოვლის საშუალებების დატანა (საპრიალებელი, კონსერვაციის, დამცავი, მაკრისტალებელი კომპოზიციების გამოყენებით);
7. სამზარეულოს აღჭურვილობის (ქურა, მაცივარი, ჭურჭლის სარეცხი მანქანები, მიკროტალღური და საცხობი ღუმელები, სხვა ელექტროსაქონელის და აპარატურის) წმენდა და დეზინფექცია.
8. შენობის გარეთა ფასადსა და მიმდებარე ტერიტორიაზე:

ა) იგივე რაც 27-ე და 28-ე პუნქტების მე-9 ქვეპუნქტებშია მითითებული;

ბ) ფანჯრებისა და შუშის კედლების სრული წმენდა შიგნიდან და გარედან, მიუხედავად სიმაღლისა;

გ) ფასადის, დეკორატიული ელემენტების, საჩრდილობელი ჟალუზებისა და მარკიზების, აბრების, ფირნიშების და ლატუნის დაფების წმენდა;

დ) ჩამრეცხი და საკანალიზაციო კოლექტორის ცხაურის, სახურავიდან ჩამდინარე წვიმის წყლის ღარების წმენდა.

დამლაგებელისათვის დადგინდა დასალაგებელი ინვენტარისა და საშუალებების სტანდარტული ჩამონათვალი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

1. ურიკა (ინვენტარისა და საშუალებების გადასაადგილებლად);
2. შვაბრა სველი დამუშავებისათვის;
3. ორგანყოფილებიანი ვედრო: სუფთა წყალი/სარეცხი საშუალებიანი სითხე;
4. აქანდაზი და ცოცხი;
5. ხელთათმანი და სათადარიგო ხელთათმანი;
6. მუშამბის წინსაფარი სანიტარიულ კვანძში ოპერირებისათვის;
7. ტილოები მ.შ. იატაკის, შუშისათვის და ავეჯისთვის;
8. საწმენდი ღრუბელი, ჯაგრისი, სახეხი (რბილი მეტალის სპირალი);
9. ჰაერის დეზოდორი;
10. ხის ავეჯის დასამუშავებელი;
11. ტყავის ზედაპირების დასამუშავებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
12. სარეცხი ფხვნილი (გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ ტილოების გასარეცხად);
13. ზედაპირების სახეხი ფხვნილი ან კრემი;
14. სითხე იატაკის წმენდისა და გაპრიალებისათვის, მოპირკეთების ტიპის (ხე, მეტლახი, ლინოლეუმი და სხვ.);
15. უნიტაზის დასამუშავებელი სითხე;
16. შუშის საწმენდი;
17. ნიკელის, ლატუნის და ლითონის სხვა ზედაპირების დასამუშავებელი საშუალება;
18. ტრაპების და კოლექტორების დასამუშავებელი საშუალება;
19. დიდი და პატარა ნაგვის პარკების რულონები;
20. სადეზინფექციო ხსნარი, დასალაგებელი ინვენტარის დასამუშავებლად, დასუფთავების პროცესის დამთავრების შემდეგ.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უმკაცრესი დაცვით...

ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“-ს ფილიალებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მიმდინარეობისას ყოველდღიურ რეჟიმში ვითვალისწინებთ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითად რეკომენდაციებს, რომლებიც ითვალისწინებენ კორონავირუსის გავრცელების პრევენციას.

მუნიციპალიტეტის 26 საბავშვო ბაგა-ბაღიდან, რომელშიც განთავსებულია 54 სააღმზრდელო ჯგუფი—6 ბაღი არის თანამედროვე სტანდარტებით აშენებული, დანარჩენი ბაღები კი ნაწილობრივ რეაბილიტირებული. საბავშვო ბაგა-ბაღების ყველა სააღმზრდელო ჯგუფის სველი წერტილები, სამზარეულოები, პროდუქტის საცავები არის რეაბილიტირებული და ცივი და ცხელი წყლის მიწოდებით უზრუნველყოფილი. მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხი შეესაბამება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი“-ს მოთხოვნებს.

დღეის მდგომარეობით ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის ყველა ფართი (მისაღები, სააღმზრდელო ჯგუფები, დამხმარე სათავსოები და ა.შ) დამუშავებულია სადეზინფექციო ხსნარებით შ.პ.ს „ჰიგია“-ს მიერ. მომავალი კვირიდან მოხდება

საბავშვო ბაგა-ბაღების გენერალური დასუფთავება. ასევე სასწავლო პროცესის განახლების მომენტიდან კი გათვალისწინებული იქნება შესაბამისად გაცემული რეკომენდაციები.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მუნიციპალური ცენტრი მის დაქვემდებარებაში მყოფ საბავშვო ბაგა-ბაღებში კიდევ უფრო გაამკაცრებს კონტროლს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, მოხდება საბავშვო ბაგა-ბაღის ყოველდღიური კომპლექსური დასუფთავება (მტვრის გადაწმენდა ავეჯის ზედაპირებიდან, ფანჯრის რაფებიდან, კარის ბლოკების, კიბის უჯრედების, კარის სახელურების, ჩამრთველების, კიბის მოაჯირების, ზედაპირების წმენდა, რასაც ხელით ეხებიან ბავშვები და უფროსები, მტვრის მოცილება ჩამრთველებიდან და ელექტრო ხელსაწყოებიდან, ნარჩენების მოცილება სანაგვე ურნებიდან; კერამიკული ფილებით მოპირკეთებული კედლების, უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების წმენდა და დეზინფიცირება; შენობის გარეთა ფასადის და მიმდებარე ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება, მისასვლელი გზებისა და ბილიკების გადარეცხვა და ა.შ.)

ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“-ს ფილიალებში სასწავლო პროცესის განახლების შემდგომ გაგრძელდება ყოველკვირეული გენერალური დასუფთავება და საბავშვო ბაგა-ბაღები უზრუნველყოფილი იქნებიან საჭირო რესურსებით.

სასწავლო პროცესის დროს ასევე გათვალისწინებულია აღმზრდელ-პედაგოგების მხრიდან ბავშვებისათვის თავის მოვლის უნარ-ჩვევებისა და პირადი ჰიგიენის ნორმების დასაცავად სახალისო აქტივობები.

მაია თორთლაძე,
თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორი

საქართველოში კორონავირუსის გავრცელების საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში, მოქმედმა უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭოს მორიგმა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს მასშტაბით სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში გამოცხადებული არდადეგები ამ ეტაპზე პირველ აპრილამდე გახანგრძლივდეს.

მედიკოსებთან ერთად პასუხისმგებლობა ყველას გვეკისრება...

შპს „თერჯოლამედი“, როგორც ქვეყნის სხვა სამედიცინო დაწესებულება, გადასულია მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე. სტაციონარში პირველი მარტიდან გამოცხადებულია კარანტინი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენთან აღარ დაიშვებიან მნახველები, კლინიკაში უმალ

გავზარდეთ სადეზინფექციო-სანიტარული ღონისძიებების გატარების ინტენსივობა, ამჟამად ყველა პალატა უზრუნველყოფილია საჭირო ხელსაბანი სითხეებით, ქაღალდის ხელსახოცებით, სისტემატურად ხდება პალატებში, სანკვანძებსა და კაბინეტ-ლაბორატორიებში ინტერიერის ზედაპირის, ასევე იატაკების და კედლების სანიტარული დამუშავება შესაბამისი სპეციალური ხსნარებით.

ასევე მზადყოფნაშია კლინიკის კუთვნილი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა, რომელიც აღჭურვილია სათანადო ეკიპირებით და საჭირო საშუალებებით. საჭიროებისას შეუფერხებლად შეგვიძლია ინფიცირებულის ან ამ მხრივ საეჭვო მდგომარეობაში მყოფი პაციენტის გადაყვანა შესაბამის დაწესებულებაში.

ერთი დეტალის შესახებაც. საზოგადოებისათვის არა მარტო ახალი ვირუსია საშიში, იგივე ითქმის ნებისმიერ ინფექციურ დაავადებაზე, რასაც სჭირდება შესაბამისი სტაციონარული მკურნალობა. ამ მიზნით, ჩვენთან, კლინიკის დაარსების დღიდანვე ფუნქციონირებს ინფექციური განყოფილება, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი პალატებითა და სპეციალური ბლოკ-პალატით, დაკომპლექტებულია შესაბამისი პერსონალით.

როგორც ექიმი—ინფექციონისტი, მინდა ვთქვა, რომ კორონავირუსის გავრცელების შეზღუდვასა და მის დამარცხებაში მედიკოსებთან ერთად განსაკუთრებული როლი ეკისრება საზოგადოებას, მის თითოეულ წევრს.

ყველამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, რომ ზუსტად დაიცვას ის რეკომენდაციები, რომლებიც მათ მიეწოდებათ შესაბამისი სამსახურების თუ სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან.

მამუკა აბულაძე,
„თერჯოლამედის“ ექიმი ინფექციონისტი

წინადადებები, შენიშვნები, მოსაზრებები

მას შემდეგ, რაც რაიონში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის დეზინფიცირება დაიწყო, რამდენიმე დღე გავიდა. ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვართ, რადგან დეზინფექციის გაკეთება გვიწევს სამუშაოს დამთავრების შემდეგ ანუ საღამოს, რის გამოც რამდენიმე კილომეტრი უნდა გავიაროთ სადეზინფექციო ადგილზე მისვლამდე.

გვაქვს იმის პასუხისმგებლობა, რომ ჩვენი ტრანსპორტის დეზინფიცირება თავად ჩავატაროთ. დაგვიჯერეთ, ამას არავისზე უარესად არ გავაკეთებთ, რადგან ჩვენი ინტერესები ამ შემთხვევაში იგივეა, რაც სახელმწიფოსი. დაგვრთეთ ამის ნება, თუნდაც ჩვენთან, ან ჩვენ გადამზიდავებთან დადებული ხელწერილებისან ხელშეკრულებების საფუძველზე. ვფიქრობთ, ასე ბევრად უკეთესი იქნება—დეზსადგურიც გამონთავისუფლდება, არც ხარჯის გაწევა მოგიწევთ (ჩვენი ხარჯებით ჩავატარებთ დეზინფექციას) და არც რაიმე უხერხულობები შეგვექმნება.

—გაგვიგია, რომ ის ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა ეპიდემიების დროს დაწესებულ წესებს არ იცავენ, ისჯებიან. ჩვენს ქვეყანაში ასეთი მოქალაქეების დასჯის შემთხვევები ჯერჯერობით არ გვსმენია, ალბათ კანონი მკაცრი არაა ან არ მოქმედებს და ის აუცილებლად უნდა გავამკაცროთ, თანაც ავამოქმედოთ.

—ჩვენს სკოლებს და ბაღებში ბევრი კეთდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. მარტო ის რად ღირს, რომ გასულ წელს საუკეთესო ხარისხით დამთავრდა თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, სადაც იდეალური პირობებია და სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვაც მაღალი სტანდარტებით შეიძლება, ასევეა გოგნშიც, სადაც ახალი საბავშვო ბაღი აშენდა.

იქნებ მომავალი სასწავლო წლისათვის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მთელი ყურადღება იქითკენ გადაიტანოს, რომ ყველა სკოლასა და ბაღში აბსოლუტურ წესრიგში იყო სანიტარული კვანძები და მუდმივად ჰქონდეთ წყალი პირადი ჰიგიენის დასაცავად.

—რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სხვადასხვა ინფექციური დაავადებები ცნობილ მიზეზებთან ერთად იოლად ვრცელდება ფეკალიების საშუალებით. როგორც მედიკოსებმა განაცხადეს უკვე დაფიქსირდა მათი გზით კორონავირუსის გავრცელების ფაქტიც. ამ საქმეში კი მთელ რაიონში ნამდვილად კატასტროფული მდგომარეობაა შექმნილი. სოფლებში, უმეტეს ოჯახებში ტუალეტები ორმოებზეა, ზოგან კი პატარა ხევებსა და ღელე-მდინარეებზეა მიშვებული. საგანგაშო მდგომარეობაშია ქალაქ თერჯოლის საკანალიზაციო ქსელი, რომელიც ყოველგვარი გამწმენდი ნაგებობის გავლის გარეშეა მიშვებული მდინარე ჩხარაზე და ძევრულზე.

ვფიქრობთ, ეს პრობლემა უმნიშვნელოვანესია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, ასევე ითქმის სასმელ წყალზე, რომელიც არსად არ აჰყავთ უსაფრთხო ხარისხამდე ისე, როგორც ეს ქალაქ თერჯოლის მაცხოვრებლებისათვის ხდება.

—თუ გვინდა შექმნილი სიტუაციებიდან კარგად გამოვიდეთ, ყველაფერი ის, რაც უნდა ვაკეთოთ კორონავირუსის პრევენციისათვის უნდა იყოს არა სარეკომენდაციო, არამედ სავალდებულო და მათი შეუსრულებლობა კანონით უნდა ისჯებოდეს.

—ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში, ისე როგორც მთელ ქვეყანაში ოპერატიულად უნდა მომზადდეს პროგრამა, სადაც დაწვრილებით იქნება გაწერილი თუ ვინ რა აკეთოს პანდემიის პირობებში. ეს მოქალაქე იქნება, საჯარო სტრუქტურა, კერძო ბიზნესი, სამედიცინო დაწესებულება, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სამრეწველო, სატრანსპორტო თუ ნებისმიერი ყველა სხვა სახის ორგანიზაცია-დაწესებულება.

რა თქმა უნდა, ამ პროგრამის შესრულება უნდა აკონტროლოს სპეციალური უფლებამოსილებებით აღჭურვილმა, საგანგებოდ შექმნილმა ჯგუფმა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს მთავრობის სახელით იმოქმედებს.

—ყველგან, ყველა სფეროში უნდა დავაწესოთ მკაცრი რეგულაციები ისე, როგორც ეს ჩინეთში გააკეთეს. მხედველობაში გვაქვს სახლიდან გამოსვლების შეზღუდვა, დისტანცირება საკონტროლო პირებთან, დისტანციური მომსახურება, ანალიზების გაკეთება გამოძახებით და ა.შ.

—ვირუსთან ბრძოლაში მთავარი ამოცანაა მისი გავრცელების შეზღუდვა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ არ მივიღოთ მონაწილეობა არანაირ ხალხმრავალ შეკრებებში, არც თავად გავუკეთოთ ორგანიზაცია მას.

ნათქვამია: „თუ გვინდა მშვიდობა, ემზადე ომისათვისო“. ჩვენ ახლა ომში ვართ, ეს ომი ატომურზე უარესია, მაგრამ მასში შეიძლება გამარჯვება, თუ გვექნება ყოველმხრივ გათვლილი და გაწერილი სამოქმედო პროგრამა-რეგულაციები, რომლებსაც ასევე ზუსტად შევასრულებთ.

პირველ რიგში უნდა დავძლიოთ კორონაფსიქოზი, კორონერვოზი და კორონაშფოთი.

P.S. ეს წინადადებები, შენიშვნები და მოსაზრებები გამოითქვა სხადასხვა დროს „თერჯოლის“ ჟურნალისტებთან ჩვენი მოქალაქეების გასაუბრების დროს.

ნამდვილად არის თუ არა ფული ხელის ჭუჭყი?

„ბინძური ფული“, „ფულის გარეცხვა“, „ფული ხელის ჭუჭყია“—ეს ფრაზები შეგვიძლია გავიგოთ უშუალოდ, ყოველგვარი ქვეტექსტების გარეშე. ეს თემა ახლა განსაკუთრებით აქტუალური გახდა—მედიკოსების განმარტებით ფული კორონავირუსის ყველაზე აქტიური გამავრცელებელიცაა!

მართლაც, ფულის კუპიურები ყოველდღიურად გადის უამრავი ადამიანის ხელში. სად იყო ამ ადამიანის ხელი მანამ, სანამ მოკიდებდა ჩვენს ძვირფას ასლარიანს - არავინ იცის.

მაგალითად, გუშინ, სკოლასთან მდებარე სახაჭაპურეში, ხურდად აღებულმა 5 ლარიანმა გადაინაცვლა „მარშრუტკაში“, იქედან საზოგადოებრივი ტუალეტის სალაროში, იქედან მარკეტში, საიდანაც მოხვდა სამედიცინო დაწესებულებაში, ხოლო იქედან - საშაურმეში... და ასე მუდმივად და უწყვეტად.

ეს ისეთი საკითხია, რომლის გაკონტროლება ძალიან რთულია. შრომის უსაფრთხოების კუთხით, ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პროფესიათა წარმომადგენელთათვის, ვისაც სამსახურიდან გამომდინარე უწევს ფულის დიდ მასასთან ხშირი და უშუალო კონტაქტი.

მოლარეები (ბანკში, მარკეტში, ორგანიზაციაში);

ინკასატორები (განსაკუთრებით სწრაფი ჩარიცხვის აპარატების);

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ოპერატორები;

გამყიდველები.

ყველას გვინახავს თონეში, მცხობელი, ცომიან ხელებს რომ კიდებს ფულს, ხურდასაც გვიბრუნებს და მერე ბედნიერად ჰყოფს ხელებს ცომში. აქ უკვე ვიჭრებით სურსათის უვნებლობის სფეროში.

რა საფრთხეებზეა საუბარი?

ბაქტერიები. ქაღალდის კუპიურები და მეტალის მონეტები ნოყიერი ნიადაგია მილიონობით, სხვადასხვა სახეობის მავნე მიკროორგანიზმისთვის.

როგორც კვლევებიდან ირკვევა, ყველაზე ხშირად, ფულზე გვხვდება ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები ინფექციების გამომწვევი ბაქტერიები და ნაწლავური ჩხირები.

რა თქმა უნდა, არანაირი პანიკის საფუძველი არ არსებობს. უბრალოდ, ყველამ უნდა გავითვალისწინოთ მარტივი რჩევა:

არ შევეხოთ ჭუჭყიანი ხელებით თვალებს, ცხვირს, პირს და ხშირად დავიბანოთ ხელები საპნით!

„თერჯოლა“

ამონარიდი ლექსიკონიდან

ვირუსი—(ლათ.) ინფექციური დაავადების გამომწვევი უწვრილესი მიკროორგანიზმი, რომელიც ძლივს ჩანს ან სულ არ ჩანს მიკროსკოპში;

პანდემია—(ბერძ.) ეპიდემიაა, რომელიც ედება მოსახლეობის დიდ ნაწილს მთელ რიგ ქვეყნებში;

რესპირატორი—(ლათ.) მოწყობილობა-ფილტრიანი ნიღაბი სასუნთქი ორგანიზმების დასაცავად მავნე აირებისა და მტვრისაგან;

სინდრომი—(ბერძ.) რაიმე დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა;

სეფსისი—(ბერძნ.) ლპობა. ორგანიზმის საერთო დასენიანება ლპობისა და ჩირქის წარმონაქმნელი მიკრობებით და მათი ტოქსინებით, რომლებიც სისხლში მოხვდნენ.

ტოქსინი—შხამიანი ნივთიერება, რომელსაც გამოყოფს ზოგი მიკროორგანიზმი, აგრეთვე ზოგი ცხოველი ან მცენარე.

ლეტალური—(ლათ.) სიკვდილის გამომწვევი, სასიკვდილო ინფექციის შეჭრა ორგანიზმში.

ინფექცია—ავადმყოფობის გამომწვევი მიკროორგანიზმების შეჭრა ორგანიზმში.

ვახტანგ კვანტიძე: იგი აწიც იტყვის „სიტყვას ხარივით გამწევს“

...მოსწავლეობის თუ სტუდენტობის პერიოდში ხშირად უწევდა გაზეთ „წინსვლის“ რედაქციაში მოსვლა. მასზე, როგორც წარჩინებულზე, გვწერდნენ თერჯოლის №1 საშუალო სკოლიდან, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან, სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან... ერთი სიტყვით, მის გამოძახებას, ან მშობლების რედაქციაში მოსვლის თხოვნას ვუნდებოდით გაზეთ „წინსვლის“ მაშინდელი ჟურნალისტები. მეორედ რომ მოვედი რედაქციაში, გაზეთ „წინსვლის“ ძველი ნომრები მოვიძიე და 1977 წლის აგვისტოს ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილმა პატარა, მაგრამ ბევრისმთქმელმა წერილმა მიიქცია ყურადღება. „ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატი, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები მადლობას გითვლიან თქვენი შვილის—ვახტანგ კვანტიძის საუკეთესო სწავლის, ყოფაქცევის და საზოგადოებრივი მუშაობისთვის“—წერდნენ ვახტანგის მშობლებს: ალექსანდრე და თინა კვანტიძეებს. ვახტანგს კი მაშინ, ჩვენთან საუბრისას, უთქვამს: „ჩვენი, ახალგაზრდობის ვალია—ვისწავლოთ, ვიშრომოთ და ვიცხოვროთ ისე, რომ წვლილი შევიტანოთ მომავლის საქმეში“-ო. ორმოცდასამი წელი გავიდა მას შემდეგ და ვნახოთ, რა წვლილი შეიტანა ვახტანგ კვანტიძემ „მომავლის საქმეში“.



რატომ მაინცდამაინც ჩემზე...

...გაუხარდა მოკითხვა და ისიც, რომ გაგვახსენდა, პირველად უარი გვითხრა—რატომ მაინცდამაინც, რა დამსახურებისთვის უნდა დაწეროთ ჩემზეო. იცით თქვენ, ბატონო ვახტანგ, რატომ! თვითგამორკვევა, საკუთარი თავის და ადგილის მოძებნა ადრეულ ასაკში დაიწყეთ და ისიც იცით, რა დამსახურებაც გაქვთ, მაგრამ თავმდაბლობა ისეთივე ღირსეული საქციელია, როგორც ყველაფერი ამაღლებული. დიახ იცით, მაგრამ მეც გეტყვით. „ჩვენი დღეები ეს ფიჭებია, რომელნიც ფუტკრის მსგავსად, თაფლით უნდა ავავსოთ და ამ თაფლით სხვა ადამიანებმაც უნდა ისარგებლონ“-ო ნათქვამია. თქვენ ის ადამიანი ბრძანდებით, რომელიც მისხლობით, ყოველდღიურად ავსებდით ფიჭებს თქვენთვისაც და სხვებისთვისაც. გაძლიერებულად მარტო თქვენს თავზე არ გიფიქრიათ, ყოფიერება არ ყოფილა თქვენი მიზანი და თუ სწორია აზრი იმის შესახებ, რომ პატიოსნება და ფული ერთსა და იგივე ხალთაში იშვიათად თუ დატეულანო, მაშინ დიდი ქველმოქმედი ვერ იქნებოდით, მაგრამ თქვენ „ფიჭებს“ უფრო ღირებულით და მარადიულად გამოსადეგით ავსებდით.



განათლება და სამეცნიერო ხარისხები

ვახტანგ კვანტიძეს წარჩინებით აქვს დამთავრებული ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლა ტექნიკური უნივერსიტეტი) ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაციით და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით კათედრაზე დატოვეს. 1984-87 წლებში სწავლობდა მიზნობრივ ასპირანტურაში ოდესის ლომონოსოვის სახელობის კვების მრეწველობის ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც ვადაზე ადრე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 2001 წელს კი—დოცენტის, 2005 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო პედაგოგიური წოდება. 2008 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ არჩეული იქნა საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრ-აკადემიკოსად. 1981 წლიდან დღემდე, უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში არჩეული იყო კათედრის ასისტენტად, უფროს მასწავლებლად, დოცენტად, პროფესორად, კათედრის გამგედ, ფაკულტეტის დეკანად, უნივერსიტეტის პრორექტორად. ამჟამად არის ქიმიური და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დეპარტამენტის სრული პროფესორი, საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე და ამავე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

სამეცნიერო შრომები, მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები

პროფესორი ვახტანგ კვანტიძე არის 196 სამეცნიერო შრომის ავტორი. მიღებული აქვს 14 საავტორო მოწმობა და პატენტი გამოგონებაზე, გამოცემული აქვს 34 მეთოდური, ლაბორატორიული და დამხმარე სახელმძღვანელოები საინჟინრო და ბუნებათსარგებლობის ეკოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისთვის, არის 2 მონოგრაფიის ავტორი. სხვადასხვა დროს გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები როგორც ადგილზე, ისე უცხოეთის რამდენიმე ქვეყანაში. მინიჭებული აქვს სერთიფიკაციის ექსპერტის წოდება კვებისა და გადამამუშავებელ მრეწველობაში. არის 11 სამაგისტრო და 2 სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი.

სხვა აქტივობები

ვახტანგ კვანტიძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სტუდენტ-ახალგაზრდობასთან მუშაობის დეპარტამენტს. არის სტუდენტთა რესპუბლიკური და საკავშირო სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე და ორგანიზატორი, მრავალჯერ იყო შრომითი სემესტრების მონაწილე, სამშენებლო რაზმების მეთაური მურმანსკში, ნაბერეჟნიე-ჩელნში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიაში, ყამირზე და საზოგადოებრივ საქმიანობაში მიღწეული წარმატებისათვის დაჯილდოებულია საქართველოს მთავრობის არაერთი სიგელითა და დიპლომით. არის სპორტის ოსტატობის კანდიდატი კალათბურთსა და ფარიკაობაში. საქართველოს ჩემპიონი რაპირით ფარიკაობაში. მონაწილეა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამი გრანტის, არის საზოგადოება „იმერეთის“ დარბაზის, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალების „ხანძთას“ და „გენი ქართულის“ რედკოლეგიის წევრი, სამეცნიერო ჟურნალ „გონის“ მთავარი რედაქტორი.

ბატონ ვახტანგს აქვს ადმინისტრაციული საქმიანობის გამოცდილება: 1994-1998 წლებში იყო იმერეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მრჩეველი (კურირებდა წყალტუბოს, თერჯოლის, ზესტაფონის და ხარაგაულის რაიონებს), 1998-1999 წლებში—სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს პურისა და პურ-პროდუქტის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის იმერეთის სამხარეო სამმართველოს უფროსი.

* * *

თერჯოლის რაიონის გამგებლის პირველი მოადგილეობა 1999 წელს დაევალა. თერჯოლელებისათვის ეს ნამდვილი დღესასწაული იყო, ვახტანგ კვანტიძე უყვარდათ და აფასებდნენ, დაატყობდა კიდეც კვალს რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, მაგრამ აქ მხოლოდ ორი წელი იმუშავა და ისევ უნივერსიტეტში დაბრუნდა, თუმცა სამეცნიერო მუშაობა და სტუდენტ- ახალგაზრდობა არც არასდროს მიუტოვებია. უნდა გავიხსენო: ბატონი ვახტანგის მიმართ, მიუხედავად ასაკში დიდი განსხვავებისა, მაინც მორიდებული ვიყავი, გამგებლის პირველ მოადგილედ რომ მოვიდა, ცხადია, გამეხარდა, მაგრამ ვერ მივედი, განსაკუთრებული მოკრძალება გვქონდა ხელმძღვანელი მუშაკების მიმართ. მეორე დღესვე მომიკითხა—თურმე, სამსახურის ტელეფონიც გაუგია და რომ დამირეკა მივხვდი, წლების უნახაობას ჩვენი ერთმანეთისადმი პატივისცემას და სიყვარულს, არაფერი დაკლებია.

ოჯახი და მოგონებაკურიოზი

ბატონ ვახტანგს ჰყავს დედა, ქალბატონი თინა, მან ორ წინადადებაში ჩამოაყალიბა სათქმელი: „დედამ ყველაფერი შვილებს მოგვიძღვნა, დაუღალავად შრომობდა, არის იგი დაფასების, პატივისცემის და გაღმერთების ღირსი“.

ბატონ ვახტანგს ჰყავს მეუღლე, ნინო მიმინოშვილი, მათემატიკის პედაგოგი. „ოთხ წელს გასტანა ჩვენმა სიყვარულმა, 1982 წელს დავქორწინდით, მოსკოვში სამოგზაუროდ წავედით, სასტუმრო „სალუტში“ დავბინავდით. დაქალებმა დაარიგეს ჩემი მეუღლე—მაღაზია „პოლსკაია მოდაში“ ატარე ხშირადო. მაღაზიამდე მისასვლელი გზა მხოლოდ ცენტრიდან ვიცოდი და ტაქსით ვსარგებლობდით. ერთ დღეს, სასტუმროს ნომერი შეგვიცვალეს, დილაა, ფანჯარასთან ვდგავარ, მალე პოლსკაია მოდაში უნდა წავიდეთ, ვათვალიერებ გარემოს ფანჯრიდან, ადგილი მეცნო და აღმოჩნდა, რომ ეს მაღაზია ჩვენი სასტუმროს უკანა მხარეს ყოფილა, მე კი ორი კვირის განმავლობაში ორმოც კილომეტრს გავდიოდი და დღეში ტაქსში 10 მანეთს ვხარჯავდი.



ბატონ ვახტანგს ჰყავს შვილები: კვანტიძე-ჯაყელი თეა, ქუთაისის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე, კვანტიძე დავითი—საქართველოს ბანკის დასავლეთ საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის უფროსი. „რომ გითხრათ, იდეალური მამა ვარ, არ ვიქნები მართალი, მეც მაქვს პრობლემები, ზოგჯერ კარგი მამა ვარ, ზოგჯერ—მკაცრი, სიტუაციას გაჩნია, ბედნიერი ვარ იმით, რომ შვილები და მეუღლე გაგებით ხვდებიან ყველაფერს და არანაირ პრობლემას არ მიქმნიან“.

ბატონ ვახტანგს ჰყავს შვილიშვილები—ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი—2, 10 და 14 წლის.

ქალბატონი ნინო და დედამთილი

„ჩემი დედამთილი ძალიან სათნო, კეთილი და მშრომელი ადამიანია. შეუძლებელია მასთან გქონდეს ურთიერთობა და პატივისცემით არ იმსჭვალებოდე. ჩვენს შორის არასდროს არ ყოფილა წინააღმდეგობა და ზედმეტი სიტყვაც კი, პირიქით, ვახტანგსა და მის მშობლებს შორის ზოგიერთ საკითხებში მე ვიყავი შუამავალი“.

„საზოგადოებრივი საქმისთვის გაჩენილი ადამიანი“...

... ასე ქალბატონი ნინო ამბობს და ზედმიწევნით სწორად გამოხატავს სათქმელს. რაც ბატონ ვახტანგზე ვთქვით, ან რასაც მასზე ამბობენ, ძალიან მწირია იმისათვის, რომ ზუსტად წარვუდგინოთ საზოგადოებას მისი პიროვნება, თუმცა წარდგენა არც სჭირდება, აფასებენ, უყვართ და პატივს მიაგებენ ყველგან, სადაც კი რაიმე ურთიერთობა ჰქონია. მის მიერ განვლილი გზა იმის მაგალითია, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი. იგი ღრმადმორწმუნეა და ცხოვრობს იმ სულისკვეთებით, რომ გუშინდელთან შედარებით, დღეს უკეთესი იყოს, ხვალ კი დღევანდელზე უფრო კარგი.

მალე ვახტანგ კვანტიძე 65 წლის გახდება—იგი აწიც იტყვის „სიტყვას ხარივით გამწევს“. მას დიდხანს, სურვილიც რომ გაუჩნდეს დასვენების, ვერავინ შეელევა და გაივლის კიდევ 55 წელი, მოვა უფლის მიერ დადგენილი 120...

ოღონდაც, ბატონო ვახტანგ!

ჟუჟუნა ცხადაძე

კვლავ გვიხმო ჩვენმა ლამაზმა სპორტის სასახლემ!

დიახ, გარკვეული პაუზის შემდეგ, 28 თებერვალს, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებმა კვლავ შეგვახსენეს თავი. მაყურებლებიც მოვიდნენ ბლომად. ხალისობდნენ მამაცთა ორთაბრძოლების მოლოდინში.

ყველას თავის ფავორიტი ჰყავდა—უკვე ცნობილებიც, ახალბედებიც კარგა გვარიანად, სულ პატარებიც იყვნენ აქ, ნაპერწკლები რომ სცვიოდათ თვალებიდან...

მასშტაბიანი ტურნირი კი ეძღვნებოდა შესანიშნავი მოქალაქეების, ახლო წარსულში ცნობილი მოჭიდავეებისა და მწვრთნელების ლევან და შოთა ქავთარაძეების ხსოვნას.

28-29 თებერვალსა და 1 მარტს, როგორც იტყვიან—დუღდა და გადადუღდა კუნთმაგარი ბიჭების საასპარეზო. აქ საქართველოს თვრამეტი მუნიციპალიტეტის ორასამდე მოზარდი მოჭიდავე (2005-2007 და 2008-2009 წლებში დაბადებული მოსწავლეები) ამოწმებდა თავს!

ჩავავლოთ თვალი მსაჯთა კოლეგიის საოქმო ჩანაწერებს—საკუთარ კედლებში რით გამოიჩინეს თავი ჩვენმა ბიჭებმა? და—რას უნდა ველოდეთ მათგან ახლო მომავალში?

გიორგი ობოლაძე—23 კგ. მესამე ადგილი;

საბა ქოჩიაშვილი—38 კგ. მესამე ადგილი;

გიორგი ხოხიაშვილი—+75 კგ. პირველი ადგილი;

გიორგი ფანჩულიძე— 75 კგ. მეორე ადგილი;

იმავე წონაში **გიორგი მაჭარაშვილი**—მესამე ადგილი;

ლუკა ყვავაძე 75 კგ. პირველი ადგილი, რომელსაც ასევე გადაეცა შოთა ქავთარაძის სახელობის პრიზი.

იოანე ბარდაველიძე 48 კგ. მესამე ადგილი.

75 კგ. წონაში **გოგა მაჭარაშვილი**—მესამე ადგილი.

მოსწავლე-სპორტსმენების ასპარეზობებს თვალს ადევნებდნენ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **რევაზ ულენტი:** ასევე, წარსულში სახელმოხვეჭილი მოჭიდავეები, რომლებმაც არაერთგზის ასახელეს სამშობლო ოლიმპიურ თამაშებსა თუ სხვა პრესტიჟულ ასპარეზობებში: **თამაზ გოგელია, ლევან ლაშხი, ამირან სვანიძე** და სხვები.

ტურნირის საზეიმო გახსნის ცერემონიალს დაესწრო და აღლუმის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა **ბონდო სოფრომაძემ.** მან წარმატებები უსურვა იმედისმომცემ ბიჭებს, შეაქო და დამოძღვრა ისინი. მარად და ყველგან ახსოვდეთ ვისი გორისანი არიან!.. გამოთქვა რწმენა, რომ ახალგაზრდა თაობები კარგად ისწავლიან, რადგან საქართველოს ფიზიკურად ძლიერ და მამაც ადამიანებთან ერთად წიგნიერი, განათლებული, კულტურული და სამშობლოზე შეყვარებული ადამიანები სჭირდება.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი წარმატებულ სპორტსმენებს შესაძლებლობების ფარგლებში დახმარებასა და თანადგომას დაჰპირდა.

მანვე, 5000 ლარით დააჯილდოვა გოდოგნელი მკლავჭიდელი **გიორგი ამბროლაძე,** რომელმაც გასული წლის 28 ოქტომბერს რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო 72 კგ. წონით კატეგორიაში. ამ გამხდარმა ბიჭმა უზარმაზარ სპორტულ არენაზე, როგორც იტყვიან, ყველა მეტოქეს მაჯა გადაუგრიხა.

თავის გამოსვლაში, მუნიციპალიტეტის მერმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ თერჯოლის თვითმმართველობის თაოსნობით, განსაკუთრებით წარმატებული ახალგაზრდების და ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსების წესის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილების გათვალისწინებით, მომავალში მოხდება ყველა იმ წარმატებული ახალგაზრდის დაჯილდოვება, რომელიც განსაკუთრებულად მაღალი წარმატებით გამოიჩენს თავს ყოველი წლის განმავლობაში.

ტურნირის მონაწილეებს ასევე მიესალმა სპორტსმენი—ახალგაზრდობის თანამდგომი და მოყვარული მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი **გიორგი ლილუაშვილი.**

აღლუმის საზეიმო ცერემონიალს უძღვებოდა განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი **გურამ თურქაძე.**

როგორც ყოველთვის, სპორტის სამსახური (**ირაკლი ჩხეიძე**) სრულ მზადყოფნაში დახვდა ფართომასშტაბიან ღონისძიებას.

სტუმრებმა მადლობის სიტყვები არ დაიშურეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიმართ ტურნირის სანიმუშო ორგანიზაციისა და გულითადი მასპინძლობისათვის.

მანამდე, კი:

7-9 თებერვალს ჩვენმა ბიჭებმა იყოჩაღეს ქ. წყალტუბოშიც, სადაც ბ/რომაული სტილით მოჭიდავეთა რესპუბლიკურ ღია პირველობაზე ძმებმა **საბა** და **სანდრო კუპაშვილებმა** (უფროსმა 52 კგ. ხოლო უმცროსმა 41 კგ) პირველი ადგილები არავის დაუთმეს.

ლუკა მაჭარაშვილმა (57 კგ) და **გიორგი ხაცაკვაძემ** (42 კგ) კი მესამე საპრიზო ადგილები დაიმსახურეს.

***

28-29 თებერვალს ქ. თბილისში საქართველოს პირად პირველობაზე უშუ-ში (აღმოსავლური ორთაბრძოლა) **გიორგი ჭანტურიძემ** (53 კგ) მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო **ზაურ ბოჭორიშვილმა** (65 კგ)—მესამე.

***

28 თებერვალსა და 1 მარტს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ვაჟთა და ქალთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში. აქ წარმატებით იასპარეზა და საქართველოს ჩემპიონი გახდა **მაია ფანჩულიძე** (76 კგ). 40 კგ. წონაში კი მეორე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა **მარიამ რობაქიძე.**

გუნდები შეჯიბრებისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა: (ალფავიტის მიხედვით) **დიმიტრი გურგენიძემ, კახაბერ მაკარიძემ** და **დიმიტრი რობაქიძემ.**

მადლობა მათ.

ასევე მადლობა ნორჩი სპორტსმენების მშობლებს, რომლებიც შესაძლებლობის მიხედვით ხელს უწყობენ მწვრთნელებს მუშაობაში.

წინ ახალი ასპარეზობები გველოდება.

სპორტული თერჯოლა ახალი გამარჯვებების მოლოდინშია.

ელგუჯა გოგბერაშვილი
ნუგზარ გამყრელიძე

წერილი მხატვარ ნუგზარ ქოჩიაშვილს

სამხატვრო სკოლის დარბაზში გამოფენილი შენი ნამუშევრები ვნახე. ეს ნახატები, როგორც ჩემი კოლეგა მზია ცქიფურიშვილი წერდა, კულტურის დიდი ცენტრების დარბაზებს დაშვენდებოდა.

კიდევ ერთხელ ვირწმუნე შენი ნიჭიერების, დიდი ხელოვანი ხარ. ერთ-ერთი საუკეთესო აკვარელისტი დღევანდელ ქართველ ფუნჯის ოსტატთა შორის და მიჩნდება იმის განცდა, რომ ფორიაქ საუკუნეს აღარ რჩება დრო, მოეფეროს და... ხელიც შეაშველოს თავის ტალანტებს!



ვიხსენებ ხოლმე ჩვენი ბავშვობისდროინდელ მეგობრობას. გვიხაროდა ერთმანეთი. მხატვრობა გვინდოდა. შენ ამ საქმეს ბოლომდე მიყევი. სწორადაც მოიქეცი. მე, კი... მივხვდი, რომ ფოტოგრაფია უფრო ადვილი საქმე იყო. მერე იმასაც ზურგი ვაქციე, „წერამ ამიტანა“ და წერა დავიწყე. წერა ადვილია. დაწერ, არ მოგეწონება? წაშლი. კიდევ დაწერ და კიდევ არ მოგეწონება? კიდევ წაშლი და ა.შ.

ასე მოვდივარ, ვწერ-ვშლი, ვწერ... ამ რეჟიმით მივუყვები ჩემს ბილიკებს.

მენატრები, ნუგზარ. რომ ჩამოთბება, მესტუმრე, ან მე გეწვევი, ძერულის პირებს ჩავუყვეთ, ბატონიშვილების ნაწისქვილართან ფურუსულები რომ გადაირევიან, იქ გავმართოთ შენი მოლბერტი. მე ჩემს უბის წიგნაკს და პასტას მოვიმარჯვებ... ასე მოვეფეროთ ჩვენს მამულეთს, ასე გავახაროთ ერთმანეთი...

ნუგზარ გამყრელიძე

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები: 1. გოგო. 2. მიწა. 3. დილა. 4. სულიკო. 5. ციცინათელა. 6. აიდა. 7. ვენერა. 8. თითისტარი. 9. ლექსი. 10. მარტი. 11. მძივი. 12. დედამიწა. 13. დარეჯანი. 14. გარეჯი. 15. ვარდიგორა. 16. აბესალომი. 17. მერი. 18. მარია. 19. ქვრივი. 20. ტიტები. 21. ქრის.

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ეთერ დვალიშვილს და ნინო გაბრიაძეს მეუღლისა და მამის

ლევან (სულიკო) გაბრიაძის გარდაცვალების გამო.

კვლავ ქალაქ თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობის პროექტებზე

დღეს...

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, მკითხველს უკვე მივაწოდეთ ინფორმაცია თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობის პროექტით პირველ ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოების თაობაზე, კონკრეტულად კი დავით კლდიაშვილის მემორიალთან დაკავშირებით.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, დღევანდელ ნომერში გთავაზობთ მოკლე ინფორმაციებს 9 აპრილის მემორიალის, რუსთაველის ქუჩა №109 და რუსთაველის ქ. №114 მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული სკვერების კეთილმოწყობის თაობაზე.

მკითხველს ასევე ვაცნობებთ, რომ ყველა პროექტი მომზადებულია საპროექტო ორგანიზაციის, შპს „ჩემი სახლის“ მიერ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ყველა სამუშაოზე ტენდერი უკვე დასრულდა, ცნობილია გამარჯვებულიც. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ტერიტორიები მდებარეობს დასახლებულ პუნქტში და სკვერით მოსარგებლე ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობაა, დაპროექტებისას სკვერების განვითარების ძირითადი ხედვა დაფუძნებულია მათი გამოყენების ისეთ შესაძლებლობებზე, რომლებიც შეიძლება მორგებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს, განსაკუთრებით კი მოსასვენებელი სივრცის შექმნას.

9 აპრილის მემორიალი

მემორიალის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია არსებული ფარდულის დემონტაჟი, ფასადის კედლების ზედაპირიდან ბათქაშის ფენის მოშორება. ასევე, ძველი ფილებისა და ქვესაგები ფენის, ბეტონის ბორდიურების, მოაჯირებისა და ძველი ავეჯის დემონტაჟი და გატანა ტერიტორიიდან.

პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია გაზონებისა და თარგების მოწყობა, ხეების დარგვა, ასევე გაზონებში და თარგებში განოყიერებული გრუნტის შეტანა და ბალახის კორდის გაკეთება. კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის პირველ ეტაპზე უნდა მოიჭრას გრუნტი საპროექტო ნიშნულზე, მოეწყოს ქვესაგები ფენა და შემდეგ დეკორატიული ფილები ქვიშა-ცემენტის საფუძველზე. ჩაუტარდება რეაბილიტაცია არსებულ კიბეს, ასევე მოეწყობა დამატებითი საფეხურები და მოპირკეთდება ბაზალტის ფილებით. სკვერში წყალი შესაძლებელია მოხვდეს მხოლოდ ატმოსფერული ნალექის სახით და პროექტით განსაზღვრული რელიეფის დახრილობა უზრუნველყოფს აღნიშნული ნალექის გადადინებას სკვერის გარეთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, წყალარინების სისტემის მოწყობა საჭირო არ არის. სკვერი უნდა შემოიღობოს მთლიან პერიმეტრზე ლითონის ღობით.

სკვერში უნდა დამონტაჟდეს საპარკე ავეჯი: სკამები და სანაგვე ურნები. ასევე მოეწყოს დასასვენებელი სივრცეები. მაგ. საქანელა-სკამები და საჩრდილობელი. განათების მოსაწყობად დამონტაჟდება 7 ცალი ლამპიონის ბოძი.

ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109

სკვერის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია არსებული ასფალტის ფენის, ბეტონის ბორდიურების, წყლის ფანტანებისა და ძველი ავეჯის დემონტაჟი და გატანა.

პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია გაზონებისა და თარგების მოწყობა. ხეებისა და ბუჩქების დარგვა. ასევე გაზონებში და თარგებში მოხდება განოყიერებული გრუნტის შეტანა და ბალახის კორდის დაგება.

კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის პირველ ეტაპზე მოხდება გრუნტის მოჭრა საპროექტო ნიშნულზე. მოეწყობა ქვესაგები ფენა და შემდეგ დეკორატიული ფილები ქვიშა-ცემენტის საფუძველზე, თარგები შეივსება დეკორატიული ფერადი ქვებით. იმის გათვალისწინებით, რომ სკვერში წყალი შესაძლებელია მოხვდეს მხოლოდ ატმოსფერული ნალექის სახით, პროექტით განისაზღვრა რელიეფის დახრილობა, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ნალექის გადადინებას სკვერის გარეთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, წყალარინების სისტემის მოწყობა საჭირო არ არის.

სკვერში დამონტაჟდება საპარკე ავეჯი: სკამები და სანაგვე ურნები, ასევე მოეწყობა დასასვენებელი სივრცეები, საქანელა-სკამები და საჩრდილობელი. არსებული წყლის ფანტანის ადგილას მოეწყობა წყლის ახალი ფანტანი. სკვერის გასანათებლად უნდა დამონტაჟდეს ლამპიონების მოსაწყობად საჭირო 20 ცალი ლამპიონის ბოძი, რომელზეც უნდა დამონტაჟდეს სანათი LED ტიპის ნათურით. სკვერში არსებული წრის გასანათებლად უნდა დაიდგას 4 ცალი პროჟექტორი, რომელზეც უნდა დამონტაჟდეს 4 ცალი სანათი LED ნათურით.

ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №114

არსებულ ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ბეტონისა და ბაზალტის ფილების, ლითონის კონსტრუქციების და ძველი საპარკე ავეჯის დემონტაჟი და გატანა.

პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია გაზონებისა და თარგების მოწყობა, სადაც მოხდება განოყიერებული გრუნტის შეტანა და დაიგება ბალახის კორდი.

კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის პირველ ეტაპზე უნდა მოიჭრას გრუნტი საპროექტო ნიშნულზე და გატანილი იქნას ობიექტიდან. მოეწყოს ქვესაგები ფენა და შემდეგ დეკორატიული ფილები ქვიშა-ცემენტის საფუძველზე. მოხდეს არსებული კედლის და კიბის რესტავრაცია. კერძოდ, შეილესოს და შეიღებოს გარე კედლები და ბაზალტის ფილით მოპირკეთდეს კიბის საფეხურები. სკვერში წყალი მხოლოდ შესაძლებელია მოხდეს ატმოსფერული ნალექის სახით და პროექტით განსაზღვრული რელიეფის დახრილობა უზრუნველყოფს აღნიშნული ნალექის გადადინებას სკვერის გარეთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, წყალარინების სისტემის მოწყობა აქაც არ არის საჭირო.

სკვერში უნდა დამონტაჟდეს საპარკე ავეჯი: სკამები, სანაგვე ურნები, ასევე მოეწყოს დასასვენებელი სივრცეები, საქანელა-სკამები, ფანჩატური.

განათების ლამპიონების მოსაწყობად დამონტაჟდება 17 ცალი ლამპიონის ბოძი LED ტიპის ნათურიანი სანათებისათვის.

პროექტით...





შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპოდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872